



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2012 წელს სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით 401, ხოლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 152 საქმე შემოვიდა.

მიმდინარე წელს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დასაშვებობა შეამოწმა 460 საქმეზე 601 პირის მიმართ. აქედან: 419 საქმეზე 545 პირის მიმართ საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად, ხოლო განუხილველად დარჩა 2 საქმე 5 პირის მიმართ.

დაშვებული საქმეებიდან განხილულია 39 საქმე. აქედან 33 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია ახალციხის რაიონული სასამართლოს 2, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 1, თბილისის საქალაქო სასამართლოს 25, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 3, მცხეთის რაიონული სასამართლოს 1, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე), ხოლო 6 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე საჩივრები განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 1, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1 და ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე).

განხილვის შედეგად: უცვლელად დარჩა განაჩენი 4 საქმეზე. ოთხივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან;

გაუქმდა განაჩენი 3 საქმეზე. სამივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი 13 საქმეზე. აქედან 9 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 4 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა კვალიფიკაცია 2 საქმეზე. ორივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა სასჯელი 17 საქმეზე. აქედან 15 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრით განხილულია 120 საქმე. მათ შორის:

სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები 12 საქმეზე გაუქმდა, აქედან 7 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 5 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

6 საქმეზე გადაწყვეტილება შეიცვალა, აქედან 4 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

გადაწყვეტილება 102 საქმეზე უცვლელად იქნა დატოვებული, აქედან 78 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 24 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

მიმდინარე წლის პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას დაუშვეს სხვადასხვა სახის დარღვევები, რაც გამოიხატა როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი

2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

წინა წელთან შედარებით შესამჩნევად შემცირდა სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრებით განხილულ საქმეებზე სააპელაციო სასამართლოების გაუქმებული განაჩენების რაოდენობა. მიმდინარე წელს, მხოლოდ ერთ საქმეზე გამეორდა წინა წელს დაშვებული საპროცესო დარღვევა და გაუქმდა მხოლოდ სამი განაჩენი, მაშინ, როცა 2011 წელს გაუქმებული განაჩენების რაოდენობა, სხვადასხვა საპროცესო შეცდომის გამო, შეადგენდა თორმეტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.2011 წლის განაჩენის გაუქმება (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.03.2011 წლის განაჩენზე) და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის განაპირობა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 475-ე მუხლის მე-9 ნაწილის დარღვევამ, რომლის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებსაც, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის – ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ რ.წ-ს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილები, მაგრამ რეალურად, პირველი ინსტანციის სასამართლომ რ.წ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მხოლოდ ის, რომ მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები (**საქმე №497აპ-11 12.03.2012**).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.06.2011 წლის განაჩენი გაუქმდა (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 19.04.2011 წლის განაჩენზე) ერთ-ერთი მსჯავრდებულის მსჯავრდების ნაწილში და საქმე დაუბრუნდა პროკურორს.

განაჩენის გაუქმების საფუძველი გახდა მსჯავრდებულ ზ.ზ-ის მიერ საპროცესო შეთანხმების პირობის დარღვევა, რაც საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების საფუძველია (**საქმე №105აპ-12 27.03.2012**).

გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 6.04.2012 წლისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.09.2012 წლის განაჩენებით ა.ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ა.ს-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებელმა საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე უარი თქვა ბრალდებაზე და მოითხოვა მსჯავრდებულ ა.ს-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მართალია, საქართველოს სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ იმავე კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში საქმეზე არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ან შეცვლა, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საპროცესო კოდექსის თანახმად, შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პროკურორის მოთხოვნა იყო უსაფუძველო, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საპროცესო კანონმდებლობის ნორმებს, რის

გამოც არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე, იმის გამო, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ა.ს-მე გაამართლა და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა (საქმე №370აპ-12 26.12.2012).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2012 წლის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 23.04.2012 წლის განაჩენზე).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა დ.მ-ძის მიერ საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტს. მის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა-შენახვის ნაწილში – ემყარებოდა მხოლოდ ბრალდების მხარის ჩვენებებს.

საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სწორედ დ.მ-მე შეიძინა და შეინახა უკანონოდ საბრძოლო მასალა – ცეცხლგამტარი ზონარი, რასაც ადასტურებს კიდევ დ.მ-ძის მეზობლებისა და დედის ჩვენებები. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: დ.მ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება – საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა-შენახვა და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა (საქმე №314აპ-12 10.12.2012).

2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

შესწავლილ გადაწყვეტილებებში სააპელაციო სასამართლოებს არასწორად აქვთ გამოყენებული მატერიალური კანონი, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ქმედების კვალიფიკაციაზე, ისე სასჯელზე. ზოგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად ვერ შეაფასა და კვალიფიკაცია არასწორად განსაზღვრა, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 16.11.2011 წლის განაჩენის დადგენისას (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ახალციხის რაიონული სასამართლოს 06.04.2010 წლის განაჩენზე) არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის

კანონი, რის საფუძველზეც მსჯავრდებულ დ.დ-ს შეუფარდა დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ახალციხის რაიონულმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ იყო დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოება.

საკასაციო პალატის განმარტებით, 2004 წელს მოქმედი (როდესაც დ.დ-მა ქმედება ჩაიდინა) სისხლის სამართლის კანონის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, დამატებითი სასჯელის სახით პირს ჯარიმა დაენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ამას ითვალისწინებდა სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია. მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის დროს, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილის სანქციით ჯარიმა გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად, დ.დ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხა მითითება დამატებით სასჯელად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-42-ე მუხლების თანახმად, ჯარიმის – 5000 ლარის დაკისრების თაობაზე. განაჩენი გაუქმდა ასევე დ.დ-სთვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში (საქმე №661აპ-11 21.06.2012).

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.07.2011 წლის განაჩენში მოცემული დასკვნა იმის თაობაზე, რომ ო.ა-ი თავისი ძმის – პ.ა-ის განზრახ მკვლელობის ჩადენისას მოქმედებდა ანგარებითი მოტივით (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.02.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქმეში არსებული არც ერთი უტყუარი მტკიცებულებიდან არ გამომდინარეობდა, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ძმის მკვლელობისას ო.ა-ი მოქმედებდა ანგარებითი მოტივით, რაც მდგომარეობს სხვის ხარჯზე გამორჩენის მიღებისაკენ სწრაფვაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ცვლილება შეიტანა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში: ო.ა-ს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება (განზრახ მკვლელობა ანგარებით) და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ო.ა-ის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია სხვა ნაწილში, რაც დადგენილი იყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, დარჩა უცვლელად. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მსჯავრდებულ ო.ა-ს, აღნიშნული ქმედების სიმძიმისა და მისი ჩადენის პირობების, აგრეთვე თვით მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 (თოთხმეტი) წლის ვადით (საქმე №471აპ-11 14.02.2012).

სარწმუნოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეფასდა და კვალიფიკაციაც არასწორად განისაზღვრა, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ 21.08.2012 წლის განაჩენით (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 20.06.2012 წლის განაჩენზე) მსჯავრდებულ შ.წ-ის მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც რეალურად შ. წ-მა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულმა გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. მართალია, შ.წ-ს დაზარალებულმა შეუქმნა აგრესიისაგან თავის დაცვის საჭიროება და მისი მოგერიების ვითარება, მაგრამ მასზე თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს შ.წ-ის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, ამავდროულად თავად დაზარალებულის ძლიერი სიმთვრალისა და იმის გათვალისწინებით, რომ მას ხელში არ ეჭირა არანაირი საგანი, ხოლო შ.წ-ნი იყო ფხიზელი, არ შექმნილა ისეთი ვითარება, რაც აუცილებელს გახდიდა, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულის მოსაგერიებლად ლითონის საგნით მიეყენებინა მრავლობითი დაზიანებები, რამაც მისი ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება გამოიწვია. პალატამ მიიჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო, მსჯავრდებული აღმოჩნდა აშკარა შეუსაბამობაში თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან შეუსაბამო თავდაცვითი მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში განახორციელა მსჯავრდებულმა შ.წ-მა, წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას (**საქმე №349აპ-12 26.12.2012**).

სარწმუნოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეფასდა და კვალიფიკაციაც არასწორად განისაზღვრა, როდესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 07.06.2012 წლის განაჩენით (განხილული იყო სააპელაციო საჩივარი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 10.04.2012 წლის განაჩენზე) მსჯავრდებულ ე.ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, მაშინ, როდესაც რეალურად ე.ჩ-მა აღნიშნული დაზიანება ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ე.ჩ-სთვის შეიქმნა აგრესიისაგან თავის დაცვის საჭიროება და მისი მოგერიების ვითარება, მაგრამ მასზე თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს ე.ჩ-ის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის, რაც აუცილებელს გახდიდა მის მოსაგერიებლად ლითონის თხელი, მჭრელპირიანი ნიჩბის გამოყენებასა და სიცოცხლისათვის საშიშ ადგილზე – თავის არეში მის დარტყმას, რამაც დაზარალებულის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება გამოიწვია. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ თავდაპირველად, როცა დაზარალებული ზ.ც-ლი შეეცადა, ხელი დაერტყა მისთვის, ე.ჩ-მა შეძლო ხელის კვრით წაეჭვია იგი. ზ.ც-მა მაინც გააგრძელა მის მიმართ აგრესიული ქმედება, მაგრამ მისი მოგერიება ე.ჩ-ს თავისუფლად შეეძლო უფრო ნაკლებად დამაზიანებელი, საპასუხო თავდაცვითი მოქმედებით. მით უმეტეს, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმე რ.პ-ც ეხმარებოდა მას ზ.ც-ის აგრესიის შეკავებაში, რომელიც თავისი ნიჩბით სველ ხრეშს აყრიდა სახეში დაზარალებულ ზ. ც-ს. საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან შეუსაბამო თავდაცვითი მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში განახორციელა მსჯავრდებულმა ე.ჩ-მა, წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ე.ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება

საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე (საქმე №278აპ-12 14.12.2012).

საკასაციო პალატამ მსჯავრდებულები გაამართლა სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა ამ მუხლით დანიშნული სასჯელი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 26.12.2011 წლის განაჩენით, რომლითაც განხილული იყო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.06.2011 წლის განაჩენზე, ჯ. ჩ-ას და ჯ. ე-ს მსჯავრი დაედოთ როგორც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შვიდ დღეზე მეტი ხნით და ანგარებით მძევლად ხელში ჩაგდებაში დახმარების გაწევაში იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება (სსკ-ის 144-ე მუხლი), ისე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ გამოძალვაში, ე.ი. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ქონებრივი სარგებლის მოთხოვნაში, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა (სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მძევლად ხელში ჩაგდება არის ფორმალური დანაშაული. იგი დამთავრებულია ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან, რაც ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამ დანაშაულის დროს დამნაშავეს აინტერესებს არა მძევლის პიროვნება, არამედ ზემოქმედება იმ პირზე, ვისკენაც მიმართულია მოთხოვნა, რასაც ამყარებს მძევლისათვის ზიანის მიყენების მუქარა. ცხადია, არა მძევალი, არამედ მესამე პირია ის, ვინც მოთხოვნა უნდა შეასრულოს მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, რამეთუ თავად მძევალს მოთხოვნის შესრულება არ ძალუძს, თუმცა იგი დამნაშავესათვის მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ამდენად, მძევლად ხელში ჩაგდება მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა გამოძალვა და იძულება. აქედან გამომდინარე, როცა დამნაშავე მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვს მისთვის თანხის გადაცემას, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 144-ე მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება), ხოლო დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არ არის (საქმე №66აპ-12 16.03.2012).

მსჯავრდებულების ქმედებები სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 150-ე მუხლის პირველ და 360-ე მუხლის მე-2 ნაწილებზე და საბოლოოდ მათ განესაზღვრათ უფრო მსუბუქი სასჯელები (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.09.2011 წლის განაჩენი, განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 14.06.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის განზრახვი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას ფაქტობრივად წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების ყველანაირი შესაძლებლობა. ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ პირს არ ჰქონდეს გადაადგილების არანაირი ობიექტური შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში კი დაზარალებულს ჰქონდა საკუთარი ნების შესაბამისად ფიზიკური გადაადგილების შესაძლებლობა, სარგებლობდა მობილური ტელეფონით, ურთიერთობდა გარეშე პირებთან, თანაც ისე, რომ მათ დაზარალებულის

თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობა პრაქტიკულად არც შეუმჩნევიათ. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, დაზარალებულის მიმართ ხორციელდებოდა მხოლოდ მისი მიმოსვლის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა ფიზიკური და ფსიქიკური იძულების გამოყენებით, რომლის მიზანიც იყო მასზე არამართლზომიერი ზემოქმედების მოხდენა, რათა საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ შეესრულებინა კონკრეტული მოქმედებები – მოეწერა ხელი მისთვის უცნობი შინაარსის დოკუმენტებზე და არ დაეტოვებინა ჩ-ს რაიონის ტერიტორია. შესაბამისად, აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – იძულებას.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა ქმედებებში გამოიკვეთა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – თვითნებობის ნიშნებიც, რადგან, იმ მიზნით, რომ გადამზიდავი კომპანიის მხრიდან თანხის გადახდამდე, დაზარალებულის სატვირთო ავტომანქანას არ დაეტოვებინა ჩ-ს რაიონის ტერიტორია, ჯ. ს-მ, რ. ც-მ და მ. ე-მ ბოლომდე არ ჩამოტვირთეს იგი, დატოვეს მასზე დაახლოებით ერთი ტონა თხილი, რათა შეექმნათ თითქოსდა ობიექტური გარემოება სატვირთო ავტომანქანის მართლზომიერი შეყვანებისა და იმისათვის, რომ დაზარალებულს თავისი შეხედულებისამებრ არ დაეტოვებინა ამ ავტომანქანით ჩ-ს რაიონის ტერიტორია, ასევე მოტყუებით გამოართვეს მართვის მოწმობა, ავტომანქანისა და მისაბმელის სარეგისტრაციო მოწმობები, რაც უკან აღარ დაუბრუნეს. ამასთან, დაზარალებულის განმარტებით, რ. ც-ა, ჯ. ს-ე და მ. ე-ა აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ცდილობდნენ მის დამცირებას. აღნიშნული უკანონო ქმედებებით მას მიაღდა ფიზიკური და მორალური ზიანი (საქმე №543აპ-11 25.04.2012).

ნაცვლად ქურდობის მცდელობისა, მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა დამთავრებულ ქურდობად (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.08.2012 წლის განაჩენი, განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.06.2012 წლის განაჩენზე), მაშინ, როცა არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. კ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით), გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე (ქურდობის მცდელობა ბინაში უკანონო შეღწევით).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ქურდობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ობიექტური მხარე სავალდებულო ნიშნად მიიჩნევა მავნე შედეგის დადგომას ქონებრივი ზიანის სახით. ამიტომ ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაუფლა სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს ეს ქონება თავისი შეხედულებით – იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზაცია. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულს დამთავრებული ქურდობა არ ჩაუდენია და საქმე გვაქვს ქურდობის მცდელობასთან, რადგან, მართალია, ღია კარის დანახვამ გ. კ-ს ალუძრა ქურდობის განზრახვა, შევიდა კიდეც სახლში დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იქიდან

წამოსაღები ვერაფერი ნახა და ხელცარიელი გამოვიდა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (საქმე №351აპ-12 25.12.2012).

მსჯავრდებულს ერთ-ერთ ეპიზოდში, ნაცვლად საბრალდებო დასკვნით გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებისა, შეცდომით შეუფარდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ 08.04.2011 წლის განაჩენით, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლომ 17.10.2011 წლის განაჩენით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 450-ე მუხლის თანახმად: „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება აღნიშნულ ეპიზოდში, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე (საქმე №19აპ-12 5.03.2012).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) გათვალისწინებული კატეგორიის დანაშაულებზე (დიდმა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7.05.2012 წლის განაჩენზე. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.11.2011 წლის განაჩენზე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ წინათ დამკვიდრებული პრაქტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთიანი განზრახვითა და ერთიანი მიზნით მრავალი დაზარალებულის მიმართ დამნაშავეს მიერ განხორციელებული თაღლითობის ისეთი ნიშნით კვალიფიკაცია, როგორიცაა მისი ჩადენა დიდი ოდენობით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ოდენობის ზიანი თუნდაც ერთი დაზარალებულისათვის მაინც იყო მიყენებული. შესაბამისად, მიყენებული ზიანის დიდ ოდენობად შეფასება არ დაიშვებოდა მრავალი დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული ზიანის საერთო მოცულობის მიხედვით.

დიდ პალატას მიაჩნია, რომ ერთიანი განზრახვითა და მიზნით ჩადენილი ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის (ფულის, ქონების) საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული, კონკრეტული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას. აქვე დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი კვალიფიკაცია დიდი ოდენობის ნიშნით შეეხება არა მხოლოდ თაღლითობას, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა და სხვა, ხოლო დიდი ოდენობის ნიშნით კვალიფიკაცია, სრულიად ცხადია, რომ არ დაიშვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მრავალი

იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, რომელიც ჩადენილია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვისა და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ იქნება მიჩნეული ერთიან განგრძობად დანაშაულად და რეალურად გვევლინება როგორც დანაშაულთა რეალური ერთობლიობა, რადგან სამართლებრივად შეუძლებელია იგივეობრივ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის არსებობა, გამომდინარე საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან (საქმე №236აპ-12 22.11.2012).

სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით მსჯავრდებულებს ზედმეტად წარედგინათ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. განაჩენები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში კი აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა და არც სხვა მტკიცებულებებით არის გამყარებული. ზოგიერთ შემთხვევაში, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლოს განაჩენებში არ არის დასაბუთებული, ერთი პირის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით არის მიჩნეული დადასტურებულად მსჯავრდებულების ქმედებებში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მსჯავრდებულებს განაჩენებიდან ამოურიცხა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ეპიზოდები (საქმეები №28აპ-12 14.03.12; №175აპ-12 29.05.2012; №99აპ-12 10.07.12; №204აპ-12 12.11.12; 323აპ-12 19.11.12; 338აპ-12 19.11.12; №228აპ-12 16.11.12).

ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 8.11.2011 წლის, 20.03.2012 წლის, 27.01.2012 წლის, 11.04.2012 წლის, 5.07.2012 წლის, 4.07.2012 წლის, 10.05.2012 წლის განაჩენებში.

განაჩენები მიღებულია პირველი ინსტანციის შემდეგი სასამართლოების მიერ: ბოლნისის რაიონული სასამართლო 2.08.2011; თბილისის საქალაქო სასამართლო 14.11.2011; 1.11.2011; 8.02.2012; 12.04.2012; 26.04.2012; 2.03.2012.

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დაზმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.04.2012 წლის განაჩენი შეიცვალა კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.12.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ტ. ა-ვა მსჯავრდებული იყო დიდი ოდენობით – 0,1348 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებულის ქმედების აღნიშნული კვალიფიკაცია ეფუძნებოდა „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების და

ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2003 წლის 23 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, 1 გრამამდე (1 გრამის ჩათვლით) ოდენობით „ჰეროინი“ მიეკუთვნებოდა დიდ ოდენობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან – 2012 წლის 8 ივლისიდან, რომლის თანახმადაც, 0,2 გრამამდე ოდენობით „ჰეროინი“ ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად და, შესაბამისად, ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირების საფუძველს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ტ. ა-მ, ექსპერტიზის № № დასკვნების შესაბამისად, უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გაასალა 0,1348 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი (საქმე №222აპ-12 14.11.2012).

2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას მიმდინარე წელს გამოვლინდა ისეთი საპროცესო დარღვევები, რასაც წინა წლებში ადგილი არ ჰქონია, კერძოდ:

განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე მსჯავრდებულის შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გაუქმდა და მსჯავრდებულის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს განსახილველად მისი დაშვების საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა.დ-ის მიერ შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით 27.12.2011 წელს მიღებული განჩინებით არასწორად განმარტა სსსკ-ის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) 312-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, როდესაც მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნორმაში მოცემულ სუბიექტთა ჩამონათვალში, კერძოდ, იქ მოხსენიებულ მსჯავრდებულში არ იგულისხმება ის პირი, რომელმაც უკვე მოიხადა სასჯელი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ხსენებული საპროცესო ნორმის შინაარსის განმარტება პირდაპირ ეწინააღმდეგება მოცემულ საკითხზე საპროცესო კოდექსის ნამდვილ აზრსა და კანონმდებლის ნებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს სსსკ-ის 311-ე მუხლი, რომლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია.

გარდა ამისა, მითითებული საპროცესო ნორმის შინაარსის ისეთი გაგება, რომელიც თავის განჩინებაში ჩამოაყალიბა სააპელაციო სასამართლომ, პირდაპირ ეწინააღმდეგება აგრეთვე

მატერიალური სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმებით აღიარებულ და დაკანონებულ ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის უფლებასა და ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტს (საქმე №1აგ-12 11.01.2012).

განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე მსჯავრდებულის შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გაუქმდა და მსჯავრდებულის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს განსახილველად მისი დაშვების საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის შესაბამისად მის მიერ ჩადენილი ქმედების 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე გადაკვალიფიცირების მოთხოვნით, არ იქნა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის განაჩენით მას ბრალდებიდან ამოერიცხა 0,0116 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ გასაღება და ამ ნაწილში გამართლდა. შესაბამისად, შუამდგომლობის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა არა 0,0196 გრამ „ბუპრენორფინის“ მის მიერ უკანონოდ შეძენა-შენახვაზე, არამედ მხოლოდ 2010 წლის 4 ოქტომბერს მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულ 0,008 გრამ „ბუპრენორფინის“ და 0,0224 გრამ „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა-შენახვაზე. ასეთ შემთხვევაში კი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის დანართის ნუსხაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მის მიერ შეძენილ-შენახული ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ და „ჰეროინი“ აღარ წარმოადგენს დიდ ოდენობას.

საკასაციო პალატამ განმარტა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის განაჩენით ნ. მ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება და ცნობილ იქნა დამნაშავედ ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შეძენასა და შენახვაში, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით არ ირკვევა იმ ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, რომლის გასაღების ბრალდებაც ამოერიცხა ნ. მ-ს. არც მოცემულ საქმეში არსებული სხვა მასალებით დგინდება მათი ოდენობა, რაც ყურადსაღებსა და გადასამოწმებელს ხდის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მსჯავრდებულის არგუმენტებს. აღნიშნული გარემოება კი, საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს (საქმე №137აგ-12 10.12.2012).

გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მსჯავრდებულის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს მისი დასაშვებობის საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.09.2012 წლის განჩინება).

მსჯავრდებულ ა. რ.-ს, რომელიც 2005 წლის 21 მარტის განაჩენით მსჯავრდებული იყო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 0.03 გრამი „ჰეროინის“ უკანონოდ შეტენა-შენახვისათვის, ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი მთლიანად დაემატა ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ა. რ.-ის შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო პალატამ 03.09.2012 წლის განჩინებაში იმსჯელა მხოლოდ ბოლო განაჩენით დადგენილი ნარკოტიკული საშუალების ოდენობის გათვალისწინებით, რასაც შუამდგომლობის ავტორი სადავოდ არ ხდიდა. აღნიშნული გარემოება კი, საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს (საქმე №58აგ-12 8.11.2012).

მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად, რაც გახდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.09.2012 წლის განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა ერთპიროვნულად განხილვის წესი ვრცელდება იმ საჩივრების განხილვაზე, რომლებიც შეტანილია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემავალბელი გადაწყვეტილებების გამო. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საგამონაკლისო წესი არ ვრცელდება სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის განხილვაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ხ.-ს შუამდგომლობა უნდა განიხილოს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით (საქმე №68აგ-12 24.12.2012).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაუქმდა, ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით ცვლილება შევიდა იმ საპროცესო გადაწყვეტილებაში, რომელიც უკვე შეცვლილი იყო რაიონული სასამართლოს დადგენილებით

გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12.09.2012 განაჩენით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენი, მაშინ, როდესაც ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა 2009 წლის 26 ნოემბერს, რომლის მიხედვითაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ ს. გ.-ს გაუნახვერდა სსკ-ის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

საკასაციო პალატამ განმარტა: ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით ცვლილება შევიდა იმ საპროცესო გადაწყვეტილებაში, რომელიც იმ დროს უკვე შეცვლილი იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, რათა სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს ოზურგეთის რაიონული

სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქმე №83აგ-12 26.11.2012).

– ანალოგიური საქმეები: №64აგ-12 9.11.12; №86აგ-12 20.11.12; №33აგ-12 18.12.12; №35აგ-12 18.12.12; №105აგ-12 7.12.12; №81აგ-12 9.11.12; №77აგ-12 12.11.12.

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.08.2012 წლის, 13.09.2012 წლის, 20.08.2012 წლის, 20.08.2012 წლის, 03.09.2012 წლისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.09.2012 წლისა და 30.08.2012 წლის განაჩენები.

სააპელაციო სასამართლომ, მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის თვალსაზრისით, განმეორებით შეასრულა ისეთი მოქმედება, რომელიც ზედმეტი და არასაჭირო იყო (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2011 წლის განაჩენი).

სააპელაციო სასამართლომ ახლად გამოვლენილი გარემოების გამო საქმის გადასინჯვისას, როდესაც მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ცვლილება შეიტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებაში, ა. გ-ის ქმედების კვალიფიკაცია იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენას, დანაშაული, გათვალისწინებული წინათ მოქმედი საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია) მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით, განმეორებით მოიყვანა შესაბამისობაში მოქმედ კანონთან, სახელდობრ: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მაშინ, როდესაც იგი უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინებით უკვე მოყვანილი იყო შესაბამისობაში ახალ კანონთან.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ, მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის თვალსაზრისით, განმეორებით შეასრულა ისეთი მოქმედება, რომელიც ზედმეტი და არასაჭირო იყო. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2011 წლის განაჩენში შეიტანა ცვლილება მასში გამოვლენილი ზედმეტობის გასასწორებლად და აღნიშნული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამორიცხა მითითება მსჯავრდებულ ა. გ-ის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტიდან ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების შესახებ (№2აგ-12 25.01.2012).

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას და დანიშნული სასჯელის შემცირებას სანქციით გათვალისწინებული სასჯელის შუა ზღვრამდე, რაც საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.08.2012 წლის განაჩენით მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვისა და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ დაკმაყოფილდა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან

გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასინჯვი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე (საქმე №39 აგ-12 19.09.2012).

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დანმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეების გადასინჯვისას „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების დაუშვებლობა

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დანმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მსჯავრდებულის შუამდგომლობით გადაისინჯა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.08.2012 წლის განაჩენით იმავე სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განაჩენი შეიცვალა და გ. კ-ის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა გ. კ-მ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ მის მიმართ არ გამოუყენებიათ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის კანონები, რის გამოც მოითხოვა მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის კანონების გამოყენების წესი და პირობები განსაზღვრულია იმავე კანონებში მითითებული სპეციალური ნორმებით, რომელთა მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს აღნიშნულ კანონთა გამოყენების შესახებ (№31 აგ-12 17.09.2012).

ანალოგიური საქმე – №17 აგ-12 19.09.2012.

ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.08.2012 წლის განაჩენში.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კანონი), ნაცვლად 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, გადაკვალიფიცირა მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე. საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას; იგი მიუთითებდა, რომ დანაშაული

ჩაიღინა 18 წლის ასაკში; მას შემდეგ გასულია დიდი დრო; ჰყავს მეუღლე, შვილები და ავადმყოფი დედა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასინჯვი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ გ. მ-ის ქმედება სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კანონი) უნდა გადაკვალიფიცირებულიყო არა მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, არამედ – 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის სანქცია ითვალისწინებდა 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2012 წლის განაჩენში ამ მიმართებით ცვლილება იქნა შეტანილი (№26აგ-12 03.10.2012).

გასაჩივრებული განაჩენით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.08.2012 წლის განაჩენი) შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენი მაშინ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა 2009 წლის 28 ნოემბერს და სწორედ ეს გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

საკასაციო პალატის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ნოემბრის დადგენილება შეიცვალა: მ.გ-ის ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - სასჯელის ნაწილში, დარჩა უცვლელად (40აგ-12 15.10.2012).

3. დასკვნა

წინამდებარე ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო 2012 წელს საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დაშვებული დარღვევები, რაც აისახა მათ მიერ მიღებული განაჩენების გაუქმებაში ან მათში ცვლილებების შეტანაში, უმეტეს შემთხვევაში გამოწვეული იყო:

- საქართველოს სსკ-ის 475-ე მუხლის მე-9 ნაწილის დარღვევით, რომლის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებსაც, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს;

- საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით, რომლის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას;
- საკასაციო პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქმის საკასაციო წესით განხილვისას პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზნით ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ იმავე კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.
- შესწავლილ განჩინებებში სააპელაციო სასამართლომ დაუშვა ისეთი უზუსტობები, რამაც გავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, მსჯავრდებულს, ნაცვლად საბრალდებო დასკვნით გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებისა, შეცდომით შეუფარდეს საქართველოს სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 450-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ.
- 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს მოიმატა განაჩენებიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ეპიზოდების ამორიცხვის ფაქტმა, კერძოდ: 2011 წელს განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ეპიზოდის ამორიცხვის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2012 წელს 7 განაჩენში შევიდა ამგვარი ცვლილება.

წინამდებარე ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეთა რაოდენობა 776 საქმიდან 401 საქმემდე შემცირდა. ასევე, თუ 2011 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა 54 საქმე, საიდანაც გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 12 განაჩენი, 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განხილული 39 საქმიდან გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ 3 განაჩენი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს, 2011 წლისგან განსხვავებით, საკასაციო პალატას აღარ განუხილავს სისხლის სამართლის საქმეები საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, სამოხელეო დანაშაულებზე, დანაშაულებზე მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე, დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში, რაც ცხადყოფს, რომ გარკვეულწილად ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) გათვალისწინებული კატეგორიის დანაშაულებზე.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**